




საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

2019





კონკურსები

1. 2019 წლის 11 თებერვალს საექსპერტო კომისიის სხდომაზე გამოვლინდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2019 – 2020 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსის (საკონკურსო ფონდი - 1200 000 ლარი) გამარჯვებულები.

საექსპერტო კომისიის რეკომენდაციით დაფინანსდა ოთხი პროექტი:

- პროექტი „სად მიდის ლიზა“ დაფინანსდეს – 300 000 (სამასი ათასი) ლარი;
- პროექტი „თხილი“ დაფინანსდეს – 300 000 (სამასი ათასი) ლარი;
- პროექტი „ცივი ღრუბლები“ დაფინანსდეს – 300 000 (სამასი ათასი) ლარი;
- პროექტი „ტერცო მონდო“ დაფინანსდეს – 300 000 (სამასი ათასი) ლარი.

2. 2018 წლის 27 ნოემბერს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების 2019 წლის დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 1100 000 ლარი). პროექტები გადაეცა საექსპერტო კომისიას.

3. 2019 წლის 12 მარტს დასრულდა ეროვნული კინოცენტრის მიერ 2019-2020 წელს სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებულ კონკურსში პროექტების მიღება. მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილია 32 პროექტი.

მზადდება:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველი“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - გიორგი ცქვიტიანი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანატორი: მკვდრების სოფელი“ (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფროდაქშენი“ დირექტორი - შოთა ბაშარული, რეჟისორი - გიორგი გოგიჩაიშვილი);
- დოკუმენტური ფილმი „აზნაშ ლამანი“ (პროდიუსერი - შპს „ბი-აი -თი სტუდიო“ მარიამ ბინაძე, რეჟისორი - ნონა გიუნაშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სასტუმრო მირაჟი“ (პროდიუსერი - შპს „პანიკა ფილმსი“ ანი კაშია, რეჟისორი - ანი კაშია);
- ანიმაციური ფილმი „ფრენცის სასადილო“ (პროდიუსერი - ააიპ „სტუდია ჯიბის კაცი“ ანა ჩუბინიძე, რეჟისორ/ანიმატორი - ანა ჩუბინიძე);



“ფრენცის სასადილო”



“ოთარის სიკვდილი”



“ინგა”

წარმოებაშია:

- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ყვავი“ (პროდიუსერი - შპს „20 steps production“, დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორ/ანიმატორი - ალექსანდრე ქათამაშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მიტოვებული სოფელი“ (პროდიუსერი - ააიპ „კვალი XXI“ ცოტნე კალანდაძე, რეჟისორ/ანიმატორი - მარი კაპანაძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „თორმეტი გაკვეთილი“ (პროდიუსერი - ააიპ „მაკ“ ჯერეჯი ჯეიმს გასკილ, რეჟისორი გიორგი მრევლიშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მკვდარი სულების არდადეგები“ (პროდიუსერი - შპს „პარაშუტი“ კონსტანტინე კალანდაძე, რეჟისორი - ეკატერინე ჭელიძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხელოსანი თუ ხელოვანი“ (პროდიუსერი - ფ/პირი ნიკოლოზ აბრამაშვილი, რეჟისორი - გიორგი ცხვედიანი);

მონტაჟდება:

- ერთობლივი ქართულ-თურქული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიდი“ (პროდიუსერი - სს „ქართული ფილმი“, რეჟისორი - ერეკლე ბადურაშვილი);
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზამთრის დეპრესია“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“, დირექტორი - ნიკა გუგუშვილი, რეჟისორი - თამაზ ნარიმანიძე);
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ინგა“ (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფილმსი“, დირექტორი - დავით აბრამიშვილი, რეჟისორი - დავით აბრამიშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ (პროდიუსერი - შპს „სოლოსოლო“ დირექტორი-ბესიკ სოლომანაშვილი, რეჟისორი - ბესიკ სოლომანაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ოთარის სიკვდილი“ (პროდიუსერი - შპს „მაისის ფერი“ დირექტორი - ევა ბლონდი, რეჟისორი - იოსებ ბლიაძე);
- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „როგორ გავხდეთ ქართველი“ (პროდიუსერი - შპს „ეპც ფილმ სტუდიო“ გიორგი ჯეჯია, რეჟისორი - ნათია არაბული-ვეგერი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „და სხვები“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია 1,2,3,“ გიორგი ტეტიაშვილი, რეჟისორი - დავით გურგულია);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სინემანია“ (პროდიუსერი - შპს „აკრობატი“ დირექტორი - ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი, რეჟისორი - ვახტანგ კუნცევ-გაბაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი სახლი ტყის პირას“ (პროდიუსერი - შპს „ნუში ფილმი“ დირექტორი - თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი - თამარ შავგულიძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გადასასვლელი“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“ დირექტორი - ვაკო კირკიტაძე, რეჟისორი - თაზო ნავერიანი);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეხდაკრული“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“ დირექტორი - ნიკოლოზ გუგუშვილი, რეჟისორი - გიორგი ქობალია);



„დამლაშებული პირსახოცები“



„ზოლემია“



„როგორ გავყიდოთ ომი“



„მინდვრის ყვავილები“

- ქართულ - უცხოური კოპროდუქცია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როგორ გავყიდოთ ომი“ (პროდიუსერი - შპს „20 steps production“ - დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - რუდოლფ ჰერცოგი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მინდვრის ყვავილები“ (პროდიუსერი - „3003 ფილმ ფროდაქშენ“ მინდობილი პირი - თამარ თვარაძე, რეჟისორი - ლანა ლოლობერიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რატომ ვართ ერთად“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია ფონოგრამი“ პაატა გოძიაშვილი, რეჟისორები - ილო ღლონტი, ლევან ღლონტი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დრამერი“ (პროდიუსერი - შპს „პარაშუტი“ ელენე მარგველაშვილი, რეჟისორი - კ. კალანდაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი - ფიზიკური პირი ლუკა მგელაძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხე“ (პროდიუსერი - ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი - სალომე ჯაში, რეჟისორი - სალომე ჯაში).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი - ზაზა ხალვაში, რეჟისორი - სალომე და თამთა ხალვაში).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი - შპს „თთფილმი“ დირექტორი - თამარ გურჩიანი, რეჟისორი - თინათინ გურჩიანი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - ირაკლი მეთრეველი).
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უარყოფითი რიცხვები“ (პროდიუსერი - შპს „მაგნეტ ფილმს“ დირექტორი - დავით ისაკაძე, რეჟისორი - უტა ბერია).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ერთი ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი დღე“ (პროდიუსერი - შპს „არტ ფაბრიკა“ დირექტორი - თამაზ ორაშვილი, რეჟისორი - გიორგი შენგელაია).



“შინდისი”

- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დაკარგული რვანახევარი“ (პროდიუსერი - შპს „ნალი“ დირექტორი - ირაკლი სოლომანაშვილი, რეჟისორი - ვახო ვარაზი).
- მცირებიუჯეტიანი მხატვრული ფილმი “ღორი” (პროდიუსერი - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - გიგა ლიკლიკაძე).
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა პეპლები იწყებენ ფრენას“ (პროდიუსერი - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - ბექარ ჯგუბურია).
- ერთობლივი ქართულ - უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმოცდასამი - 43“ (პროდიუსერი - შპს „სინეტეკი“ დირექტორი - რუსუდან გლურჯიძე, რეჟისორი - დიმიტრი ცინცაძე).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტი _ „ისტორია საოჯახო ალბომიდან“ (პროდიუსერი - ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი - ანნა ძიაპშიპა, რეჟისორი - ანნა ძიაპშიპა).
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (პროდიუსერი - ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დევნილი“ (პროდიუსერი - შპს „ნალი“ ირაკლი სოლომანაშვილი, რეჟისორი - ირაკლი სოლომანაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (პროდიუსერი - შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“, დირექტორი - ივანე არსენიშვილი, რეჟისორები - ნინო ორჭონიკიძე, ივანე არსენიშვილი).

- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ზოლემია“ (პროდიუსერი - ინდ/საწარმო „ქეთევან ჯანელიძე“, მხატვარ/ანიმატორი - ნინა სამანიშვილი).
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი - შპს „ელიენ ქინდ“ დირექტორი - გიორგი კვაჭაძე, რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი).
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი - ფ/პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი).
- დოკუმენტური ფილმი „წრე“ (პროდიუსერი - ინდ/მეწარმე -რატი რეხვიაშვილი, რეჟისორი - ალექსანდრე რეხვიაშვილი);

დასრულდა:

- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზაფხული“ (პროდიუსერი - შპს „თეიქს ფილმი“ დირექტორი - ქეთევან დანელია, რეჟისორი - გიორგი მუხაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მარქსის ქუჩა 12“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია კედარი“ - ირინე შორდანია, რეჟისორი - ირინე შორდანია);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცარიელი მაგიდა“ (პროდიუსერი - შპს „ვიზუალური ხელოვნების ცენტრი“ დირექტორი - ქეთევან გალდავაძე, რეჟისორი - გიორგი ქობალია);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დამლაშებული პირსახოცები“ (პროდიუსერი - შპს „თეიქს ფილმი“ დირექტორი - ქეთევან დანელია, რეჟისორი - ალექსანდრე ქვირია);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კრიმანჭულის ქურდები“ (პროდიუსერი - შპს „აბკ სტუდია“, დირექტორი - კარლო ჩიხრაძე, რეჟისორი - ხათუნა ხუნდაძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მოსავალი“ (პროდიუსერი - ააიპ „სინემარკ“ დირექტორი - ნათია გულიაშვილი, რეჟისორი - მიხეილ ანთაძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შინდისი“ (პროდიუსერი - შპს „თავისუფალი კინოსტუდია“, დირექტორი - ედმონდ მინაშვილი რეჟისორი - დიმიტრი ცინცაძე).



ქართველი ოპერატორი გიორგი შველიძე ლოს ანჯელესში Spotlight Award-ის მფლობელი გახდა

ASC Awards ოპერატორებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კინომოვლენაა, რომელიც წელს ლოს ანჯელესში 33-ედ გაიმართა. ამერიკელ კინოოპერატორთა საზოგადოების წლევანდელ ნომინანტებს შორის მოხვდნენ ისეთი ფილმები და ტელესერიალები, როგორებიცაა Roma, A Star Is Born, Yellowstone, Cold War, The Handmaid's Tale და სხვა.

ერთ-ერთ ნომინაციაში Spotlight Award წარდგენილი იყო ქართველი ოპერატორი გიორგი შველიძე ზაზა ხალვაშის ფილმისთვის „ნამე“. მის გარდა ამ ნომინაციის ჭილდოსთვის იბრძოდნენ ფილმების Girl და The Rider ოპერატორები. გამარჯვებული და Spotlight Award-ის მფლობელი სწორედ გიორგი შველიძე გახდა.

დაჭილდოვების ცერემონიას პირდაპირ ეთერში არაერთი მაყურებელი ადევნებდა თვალს. წლევანდელი წელი საიუბილეოა, რადგან ამერიკელ კინოოპერატორთა საზოგადოება 100 წლის იუბილეს ზეიმობს.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც Spotlight Award ქართული ფილმისთვის გაიცა. 2017 წელს იგივე ჭილდო Gorka Gomez Andreu-მ მიიღო რუსუდან გლურჯიძის ფილმისთვის „სხვისი სახლი“.



საქართველო ბერლინის 69-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე

ეროვნული კინოცენტრი ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე წელს მეთოთხმეტედ იყო წარმოდგენილი. ევროპული კინოს ბაზრობაზე (EFM) საქართველოს სტენდს ეროვნული კინოცენტრი და ეკონომიკის სამინისტროს სააგენტო “ანარმოე საქართველოში” ერთობლივად წარმოადგენდნენ.

საქართველოს პავილიონში გაიმართა არაერთი შეხვედრა, სადაც ქართული ფილმების პრომოუშენის გარდა, საქართველოში გადაღებით დაინტერესებული უცხოელი კინო-მწარმოებლებისთვის პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ გაცნობა ხდებოდა.

მნიშვნელოვანი შეხვედრები გაიმართა კანის, ტორონტოს, სანდენსის, ლოკარნოს, კარლოვი ვარისა და სან სებასტიანის კინოფესტივალების წარმომადგენლებთან. დაიგეგმა კანის კინოფესტივალის დირექტორის – ტიერი ფრემოს ვიზიტი საქართველოში, ვალიადოლიდის კინოფესტივალის ფოკუსში კი წელს საქართველო იქნება. საქართველოს სტენდს ესტუმრნენ ეროვნული კინოცენტრის პროექტის “კინო სკოლაში” ბრიტანელი პარტნიორები და პროექტის სამომავლო გეგმები პროგრამის “შემოქმედებითი ევროპა” ფარგლებში განიხილეს. შეგახსენებთ, რომ “კინო სკოლაში” სწორედ “შემოქმედებითი ევროპის” ბენეფიციარია.

სექციაში Generation იანა უგრეხელიძის ანიმაციური ფილმის “ომის იავნანა” პრემიერა გაიმართა. ფილმის ჩვენებას თავად რეჟისორიც ესწრებოდა, რომელმაც მისი ნამუშევარი გადამღებ ჯგუფთან ერთად წარუდგინა ფესტივალის სტუმრებს.

იანა უგრეხელიძე გერმანიაში მოღვაწე ქართველი ანიმატორია, რომელმაც ფილმი “ომის იავნანა” ბავშვის თვალით დანახული აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ შექმნა. ფილმში ნაჩვენებია, თუ როგორ ტოვებს მშობლიურ ქალაქს 4 ბავშვი 4 შესაძლო გზით – ხანძრით მოცული ქალაქიდან.



პარალელურად, ნეთვორქინგის ერთ-ერთი ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან პლატფორმაზე Berlinale Talents წელს 2 ქართველი კინემატოგრაფისტი მონაწილეობდა – ნათია ნიკოლაშვილი და სანდრო სულაძე. სანდრო სულაძემ დამსწრე საზოგადოებას მისი ახალი ფილმის პროექტი “გუშაგები” წარუდგინა.

ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით, წელს უკვე მეორედ, ბერლინის კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართა დამატებითი შეხვედრები შემდეგი ქვეყნების კინოცენტრების და კინოინსტიტუტების წარმომადგენლებთან: ნორვეგია, ესტონეთი, უნგრეთი, ლიტვა, ხორვატია, პოლონეთი. სამუშაო შეხვედრების მიზანია, ქართველი და უცხოელი პროდიუსერებისა თუ რეჟისორების ხელშეწყობა კოპროდუქციების შესაქმნელად, რაც ქართულ კინოინდუსტრიაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას გულისხმობს.

ასევე, Market Screening-ზე სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალის წარმომადგენლებმა და დისტრიბუტორებმა იხილეს ზაზა ურუშაძის ახალი ფილმი “ანტონი”.

ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალში, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კინომოვლენაა, წელს 7-17 თებერვალს ჩატარდა.

გიორგი სიხარულიძის ფილმის მსოფლიო პრემიერა სანდენსის კინოფესტივალზე

ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის - გიორგი სიხარულიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმის “მამული” მსოფლიო პრემიერა სანდენსის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა.

ფილმის სიუჟეტი სტალინის დაბადების ადგილზე, გორში ვითარდება, სადაც ბელადის თაყვანისმცემლები მისი გარდაცვალებიდან 63 წლის შემდეგ, სტალინის წმინდანად შერაცხვას ითხოვენ.

“მამულის” სცენარი თავად გიორგი სიხარულიძეს ეკუთვნის. ფილმის პროდიუსერია მარიამ დვალიშვილი, ხოლო ოპერატორი - გუკა გოლიაძე.

როტერდამის საერთაშორისო კინოფესტივალი

ნინო ჟვანიას სადებიუტო ნამუშევრის „აღლუმი“ ევროპული პრემიერა როტერდამის კინოფესტივალზე, სექციაში Totally Bright Future გაიმართა.

ამავე სექციაში წარმოდგენილი იყო ელმარ იმანოვის ფილმი – „სეზონის დასასრული“, რომელიც გერმანია-აზერბაიჯანი-საქართველოს კოპროდუქციაა. ფილმი ქართულ საპროდიუსერო კომპანიასთან „მაისის ფერი“ თანამშრომლობით შეიქმნა და იგი ფიპრესის (კინოპრესის საერთაშორისო ფედერაციის) ჯილდოს მფლობელი გახდა.

მიშო ანთაძის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „მოსავალი“ მსოფლიო პრემიერა ასევე როტერდამის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა. ფილმის ჩვენებები 27, 28 და 31 იანვარს სექციაში Say No More გაიმართა, პრემიერამდე 1 დღით ადრე კი „მოსავალი“ მედიის წარმომადგენლებმა ნახეს.



მსახიობი ვახო ჩაჩანიძე და ჯანო იზორია კანადაში დააჯილდოვეს

კანადაში Redline International Film Festival-ის გამარჯვებულები გამოვლინდნენ, სადაც გიორგი თავართქილაძის ფილმს „ცუდი ხალხი“ 4 ნომინაცია ჰქონდა:

1. საუკეთესო მსახიობი – ვახო ჩაჩანიძე
2. საუკეთესო რეჟისორი – გიორგი თავართქილაძე
3. საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელი მსახიობი – ჯანო იზორია
4. საუკეთესო სცენარი – გიორგი თავართქილაძე, ვლადიმერ კაჭარავა

გამარჯვებულებს შორის დასახელდნენ ვახო ჩაჩანიძე და ჯანო იზორია.

Redline International Film Festival კანადაში მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალია, რომელიც წელიწადში რამდენჯერმე სხვადასხვა ნომინაციაში კინემატოგრაფისტებს წარადგენს და შემდეგ საუკეთესოებს აჯილდოვებს.



2 ქართული ფილმი Aswan International Women Film Festival-ის პრიზიორი გახდა

ეგვიპტეში Aswan International Women Film Festival გაიმართა, სადაც 2 ქართული ფილმი დააჯილდოვეს.

მარიამ გულბიანის დოკუმენტური ფილმი “სანამ მამა დაბრუნდება” საუკეთესო ფილმის ნომინაციის გამარჯვებული გახდა, თინათინ ყაჭრიშვილის ფილმს “ჰორიზონტი” კი 2 ჯილდო გადასცეს: ფილმში მამაკაცის საუკეთესოდ შესრულებული როლისთვის გიორგი ბოჭორიშვილი Nadia Lotfy Award-ით დაჯილდოვდა. “ჰორიზონტმა” ასევე მიიღო კრიტიკოსთა ჯილდო.

ქართული ფილმები ჰონ კონგის საერთაშორისო კინოფესტივალზე

გიორგი თავართქილაძის მოკლემეტრაჟიანი ფილმის “ცუდი ხალხი” პრემიერა ჰონ კონგის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა. ფილმი ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში იყო წარდგენილი. აღსანიშნავია, რომ ამავე ფესტივალზე, ასევე მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო პროგრამაში, მონაწილეობდა რატი წითელაძის არაერთი ჯილდოს მფლობელი ფილმი “სოციალისტური პატიმარი”.

ჰონ კონგში მსოფლიო პრემიერიდან 4 დღის შემდეგ, 29 მარტს, ლოს ანჯელესში Indie Short Fest დაჯილდოვების ცერემონიალი გაიმართა. თებერვლის თვის გამარჯვებულებს შორის მოხვდა გიორგი თავართქილაძე ფილმით “ცუდი ხალხი”. ფილმს Best Action Short Award გადაეცა.



ქართული ფილმების რეტროსპექტივა ბრიუსელში

16-20 იანვარს, თანამედროვე ხელოვნების ცნობილი ცენტრი ბრიუსელში BOZAR ქართულ ფილმების რეტროსპექტივას მასპინძლობდა.

ღონისძიება Bridges. East of West Film Days ფარგლებში გაიმართა, სადაც ქართული კინო შემდეგი პროგრამით იყო წარმოდგენილი:

- 16 იანვარი – კოტე მიქაბერიძის “ჩემი ბებია”
- 19 იანვარი – სალომე ჯაშის “დაისის მიზიდულობა”
- 19 იანვარი – ელენე ნავერიანის “მე მზის სხივი ვარ დედამიწაზე”
- 20 იანვარი – ლანა ლოლობერიძის “რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე”
- 20 იანვარი – ზაზა ხალვაშის “ნამე”

Bridges. East of West Film Days ფარგლებში სამომავლო პარტნიორობის მიზნით, ინდუსტრიული შეხვედრებიც გაიმართა, რომელსაც საქართველოს მხრიდან პროდიუსერები – ვლადიმერ კაჭარავა და ქეთი დანელია დაესწრნენ.

საქართველოს გარდა ღონისძიებაში მონაწილეობდა სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა და უკრაინა.

ეროვნული კინოცენტრი ფესტივალის ერთ-ერთი პარტნიორია.

მიხეილ კობახიძის შესახებ გადაღებული ფილმის პრემიერა რეჟისორის 80 წლის იუბილზე შედგა

23 მარტს „კინოს სახლის“ კინოდარბაზში მიხეილ კობახიძის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმის „დაკარგული რვანახევარი“ პრემიერა შედგა, რომელიც რეჟისორის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა.

„დაკარგული რვანახევარი“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია, რომლის რეჟისორებიც ლაშა ოთხმეზური და ვახო ვარაზი არიან. „დაკარგული რვანახევარის“ ჩვენების გარდა, პრემიერის დღეს მაყურებელმა მიხეილ კობახიძის გახმაურებული მოკლემეტრაჟიანი ფილმებიც იხილა.



გიგიშა აბაშიძის „მეზობლები“

საქართველოს კინოთეატრებში

21 მარტიდან საქართველოს კინოთეატრებში გიგიშა აბაშიძის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმი „მეზობლები“ გამოვიდა.

„მეზობლები“ თბილისის ერთ-ერთი იტალიური ეზოს ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავს, რომელსაც ინვესტორების საქმიანი წინადადება თავდაყირა აყენებს. მეზობლები ვერ თანხმდებიან, სურთ თუ არა ძველ ბინებთან გამოთხოვება ახალაშენებულ კორპუსში საცხოვრებლის მიღების სანაცვლოდ.

ფილმში მთავარ როლებს თორნიკე გოგრიჭიანი, ია სუხიტაშვილი, თემურ ჭიჭინაძე, გიორგი ბოჭორიშვილი ნინო ქორიძე, ნატალია ყულოშვილი, ეკა მჟავანაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, მახო აბულაძე, გიორგი ბახუტაშვილი, გიორგი გრძელიძე, დავით როინიშვილი და გიორგი გოგიშვილი ასრულებენ.

ოთარ იოსელიანის “შანტრაპა” ამერიკის შეერთებულ შტატებში აჩვენეს

საქართველოს საელჩომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში მოღვაწე სახელგანთქმული ქართველი რეჟისორის - ოთარ იოსელიანის ფილმის “შანტრაპა” ჩვენებას უმასპინძლა. ფილმი საელჩოს პირველმა მდივანმა მარიკა მიქელაძემ სმიტსონიანის ინსტიტუტის დილონ რიფლის ცენტრში წარადგინა. ჩვენება საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით გაიმართა.



ლევან კოლუაშვილის ფილმის ჩვენება დუბლინში

ირლანდიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით და საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, დუბლინში ლევან კოლუაშვილის ფილმის “შემთხვევითი პაემნები” ჩვენება გაიმართა.

ღონისძიებას დუბლინში მდებარე ფრანგული ენისა და კულტურის ცენტრმა “Alliance Française” უმასპინძლა.

„შემთხვევითი პაემნებმა“ ირლანდიელი მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.



მარი გულბიანის დოკუმენტური ფილმის ჩვენება კოპენჰაგენში

2 თებერვალს კოპენჰაგენში მარი გულბიანის დოკუმენტური ფილმის “სანამ მამა დაბრუნდება” ჩვენება გაიმართა. ჩვენების შემდეგ შედგა რეჟისორთან შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში.

“სანამ მამა დაბრუნდება” ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია, რომლის მსოფლიო პრემიერაც ბრიტანეთში, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდ, შეფილდის დოკუმენტური ფილმების კინოფესტივალზე შედგა. მოგვიანებით კი ფილმი სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალის დოკუმენტური ფილმების საკონკურსო სექციაში აჩვენეს.



რეზო ესაძე 85

21 თებერვალს, ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში ქართველი კინორეჟისორის, სცენარისტის, მსახიობის, მხატვრისა და პოეტის რეზო ესაძის ნამუშევრების გამოფენა და კატალოგის პრეზენტაცია გაიმართა, კინოთეატრ რუსთაველის წინ კი მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა. ღონისძიება ხელოვანის 85 წლის იუბილეს მიეძღვნა.

“თუკი დღეს აქ ხართ, ესეიგი შევძელი და თავი დაგამახსოვრეთ!” - ასე მიესალმა რეზო ესაძე მისი იუბილის სტუმრებს.

ქართული კინოს პოპულარიზაციის მიზნით, ეროვნულმა კინოცენტრმა ახალი პროექტი დაიწყო

25 იანვრიდან ეროვნულმა კინოცენტრმა ახალი პროექტი დაიწყო - კვირაში ერთხელ, მაყურებელი ქართული კინოს სიახლეებს სხვადასხვა რუბრიკაში გაეცნობა.

#ფოკუსში განსხვავებული ისტორიებით მოხვდებიან ქართველი კინემატოგრაფისტები, საპროდიუსერო სტუდიები, გაშუქდება საერთაშორისო კინოფესტივალები და კინოცენტრის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები. ასევე, მაყურებელს შესაძლებლობა აქვს ნახოს თუ რა ხდება თანამედროვე ქართული ფილმების გადასაღებ მოედნებზე და ასევე, როგორ იქმნებოდა წლების წინ ცნობილი, ყველასთვის საყვარელი ქართული ფილმები.

ახალი რუბრიკები კინოცენტრის ოფიციალურ ვებ და ფეისბუქ გვერდებზე ყოველ პარასკევს იდება, რაც კინომოყვარულებს ქართული კინოს სიახლეებისა და ისტორიის უკეთ გაცნობის საშუალებას აძლევს.



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმების შესახებ უზუსტობის აღმოჩენის ან დამატებითი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ და მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - info@gnfc.ge.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge